

საქართველოს კანონი

„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ,,

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N41, 30.12.2004, მუხ. 200) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „ა,, ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ფიზიკური პირის მიერ ვალდებულების შესრულება იმ ურთიერთობათა ფარგლებში, რომლებიც რეგულირდება საქართველოს შრომის კანონთა კოდექსით ან „საჯარო სამსახურის კოდექსით“;,,

2. 281-ე მუხლის მე-20 ნაწილის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„20. 2007 წლის საგადასახადო პერიოდის მიხედვით „საჯარო სამსახურის კოდექსით“ გათვალისწინებული თანამდებობის პირები და საჯარო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები ამ კოდექსის 275-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ საგადასახადო ორგანოს ქონების გადასახადის დეკლარაციას წარუდგენენ 2007 წლის 1 ივლისამდე, ხოლო საგადასახადო ორგანო აღნიშნულ გადასახადის გადამხდელს 2007 წლის 1 სექტემბრამდე წარუდგენს საგადასახადო მოთხოვნას ქონების გადასახადის მიხედვით დარიცხული საგადასახადო ვალდებულების შესახებ.,,

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.